



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000075519257520

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 15

02 / დეკემბერი / 2020 წ.

## დადგენილება

**„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 03/01/2020, 010250050.35.162.016519) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**  
„გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის (18 წლამდე) –225 ლარი (საახალწლო კალათი –125 ლარი, სააღდგომო კალათი--100 ლარი);“
- დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**  
„დ) უდემამო ბავშვებისათვის (18 წლამდე) –225 ლარი (საახალწლო კალათი --125 ლარი, სააღდგომო კალათი--100 ლარი);“
- დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-6 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**  
„კ) მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მცხოვრები ოჯახები –225 ლარი (საახალწლო კალათი --125 ლარი, სააღდგომო კალათი--100 ლარი);“
- დადგენილებით დამტკიცებული დანართი N2 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.**

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერა/  
შტამბდასმულია  
ელემენტრულად



თამარ ყვინიშვილი